# ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

№ 1309
28 „ 05 2012 წელი

ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: (+995 492) 25-26–26; ფაქსი 25–30-58


კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ # 493 კონკურსის მასალებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ :
-გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით სამუშაოებზე ნაცვლად 600000 ლარისა უნდა იყოს 160000 ლარი .
-პუშკინის ქუჩიდან- სოფ ცხრაწყარო (ვარინკობამდე) რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 25000 მ. ნაცვლად უნდა იყოს 2500 მეტრი.
გთხოვთ, კონკურსის # 493 მასალებში ზემოთხსენებული ცვლილების შეტანის მიზნით დამატებით გამოგვიქვეყნოთ 2012 წლის 28 მაისის ოქმი # 2.

პატივისცემით

გივი არაბიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2011 წლის 13 აპრილის №57 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

28 მაისი 2012 წელი ქ. ზესტაფონი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1) გივი არაბიძე –(კომისიის თავმჯდომარე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

2) ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3)თემური წიწილაშვილი - ( კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

4) მიხეილ ფოცხვერაშვილი - (კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:

5)ბესიკ ღიბრაძე – (კომისიის მდივანი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთ. სპეციალიტი იურიდიულ საკითხებში

6) შვებულებაში ყოფნის გამო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავჯდომარის მოადგილე დავით ალანია

საკონკურსო აპარატი

მედეა ნანიტაშვილი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ია ჭუმბაძე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთ, სპეციალისტი

დღის წესრიგი:. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის თემური წიწილაშვილის 28.05.2012 წლის #155-ე წერილის განხილვა, აღნიშნულის საფუძველზე 2012 წლის 25 მაისს გამოცხადებულ #493 -ე კონკურსის მასალებში შესწორების შეტანა .

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავჯდომარემ გივი არაბიძემ, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ზემოთაღნიშნულ კონკურსის მასალებში მოხდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: 1. გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით სამუშაოებზე 600000 ლარის ნაცვლად უნდა იყოს 160000 ლარი. 2.პუშკინის ქუჩა-სოფ ცხრაწყარო ვარინკობამდე რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 25000 მ ნაცვლად უნდა იყოს 2500 მეტრი.

დაადგინეს:

1.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის #493-ე კონკურსის მასალებში მოხდეს ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ:გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით ნაცვლად 600000 ლარისა უნდა იყოს 160000 ლარი. პუშკინის ქუჩა-სოფ ცხრაწყარო ვარინკობამდე რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 25000მ ნაცვლად უნდა იყოს 2500 მეტრი.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს ზემოთ აღნიშნული ცვლილების შესახებ მასალები გადაუგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www prokurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისია

გივი არაბიძე –(კომისიის თავმჯდომარე)

ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)

მიხეილ ფოცხვერაშვილი - (კომისიის წევრი)

თემური წიწილაშვილი - (კომისიის წევრი)

ბესიკ ღიბრაძე – (კომისიის მდივანი)

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების
სამსახური

№ 145
„27" 05 2012

ზესტაფონი წერეთლის ქ.№11
ტელ: 5–07–64


ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ გივი არაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

ბატონო გივი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გამოცხადებული კონკურსის მასალებში მოხდა ტექნიკური შეცდომა გურამიშვილის ქ-ის რეაბილიტაციის სამუსაოებზე ნაცვლად 600000 ლარისა უნდა იყოს 160000 ლარი, პუშკინის ქ-ზე და სოფ. ცხრაწყაროს გზის რეაბილიტაციაზე 25000 მ. ნაცვლად უნდა იყოს 2500 მ.

სამსახურის უფროსი  მ. ფოცხვერაშვილი

მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი
/თემური წიწილაშვილი/

1473
28 05

საკონკურსო განცხადება

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 102 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24 -ე მუხლის მე-10 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" შესახებ - შესაბამისად.

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (მისამართი- ქალაქ ზესტაფონი წერეთლის ქ #11) აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია შემდეგი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

1 კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით
2 დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით
3 გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით
4 პუშკინის ქუჩა-სოფ ცხრაწყარო ვარინკობამდე რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით
5. სოფ.კვალითი სკოლამდე რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით
6. ფუთის გზის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით
7. ნინო წმინდის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით

საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურეობის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება -6300 ლარი
2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
2.1 საკონკურსო წინადადებების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19 პრიმა მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი) საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მიტითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
2,2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდიფიკაციო ნომერი
გ) კონკურსანტის დასახელება და საინდიფიკაციო ნომერი
დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი
2.3. დარღვევით გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

- 3. კონკურსი ჩატარდება -2012 წლის 30 მაისს 14 საათზე

4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
5. საკონკურსო წინადადება კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით, კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებასთან ერთად 2012 ,წლის 30 მაისს 14 საათზე შემდეგ მისამართზე- ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. # 11 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
6. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღე
7. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად
8. საკონკურსო წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ. ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
9. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადებას. თუ კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული ფასი იქნება ერთიდაიგივე ღირებულების, უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც ექნება მეტი ღირებულების ანალოგიური ხასიათის შესრულება ბოლო სამი წლის განმავლობაში.
10. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საკონკურსო კომუსიის წევრის ტელეფონზე 599568365-ვიტალი ჩიჩინაძე

ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კონკურსანტის საკონკურსო წინადადება ტექნიკური მოთხოვნების სახით უნდა შეიცავდეს დანართი #1 -ის სრულყოფილად შევსებულ ფორმას

დანართი 1

| | | |
|---|---|---|
| 1 | კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება | |

| | | |
|---|---|---|
| 2 | ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი | |
| 3 | კონკურსანტის იურიდიული მისამართი | |
| 4 | კონკურსანტის ფაქტიური მისამართი | |
| 5 | საინდიფიკაციო კოდი | |
| 6 | ტელეფონის ნომერი | |
| 7 | ელექტრონული მისამართი | |
| 8 | მომსახურე ბანკი | |
| 9 | ბანკის კოდი | |
| 10 | ანგარიშის ნომერი | |
| 11 | შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასი | |
| 12 | საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა ( საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არარნაკლები 20 კალენდარული დღე | |

ორგანიზაციის დასახელება

ხელისმოწერა ბ. ა.

ფასების ცხრილი დანართი 2

| # | შესყიდვის ობიექტი | ხარჯთააღრიცხ ვის სავარაუდო ღირებულება ლარი | გასაწევი მომსახურეობის ღირებულება ლარი | მომსახურეობის გაწევის ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 700მ | 160000 | | |
| 2 | დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 580მ | 150000 | | |
| 3 | გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 600მ | 160000 | | |
| 4 | პუშკინის ქუჩიდან-სოფ ცხრაწყარო (ვარინკობამდე) რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 2500მ | 600000 | | |
| 5 | . სოფ.კვალითში სკოლამდე- რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 1850 მ | 480000 | | |
| 6 | . ფუთის გზის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 1800 მ | 450000 | | |
| 7 | . ნინო წმინდის ქუჩის რეაბილიტაცია 5 სმ ასფალტის ფენილის შემასწორებელი ფენით 600მ | 150000 | | |
| | | | | 6300 ლარი |
| | | | | |

ორგანიზაციის დასახელება

ხელისმოწერა ბ. ა.

. ინფორმაცია მსგავსი ხასიათის მომსახურეობის შესახებ

| # | დამკვეთი ორგანიზაციის დასახელება | სახელშეკრულებო ღირებულება |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |

კონკურსანტს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლები 100000 ლარის მომსახურეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები:

იურიდიული პირისათვის

1, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

2. ცნობა შესაბამისი სამსახურიდან ,რომ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება

ფიზიკური პირებისათვის

1 , პირადობის მოწმობის ასლი

როგორც იურდიული ისე ფიზიკური პირებისათვის

1. ცნობა ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ

-ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ სისტემაში საკონკურსო განცხადების განთავსების შემდეგ და წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

საპროექტო - სახაარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეული ობიექტისათვის უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს
2. შესაბამის სახაარჯთააღრიცხვო ღირებულებას
3. შესაბამისს ნახაზებს და სპეციფიკაციებს

საპროექტო - სახაარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ...................... 3 ეგზემპლარად, როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული ვერსია.

შენიშვნა:

-კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება 2012 წლის 8 ივნისს.

- საპროექტო სამუშაოების დაგეგმარება შეთანხმებული უნდა იქნეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან.

-წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების ღირებულება შეზრუდული არ იქნებაფასების ცხრილში მითითებულ ხარჯთაღრიცხვების სავარაუდო ღირებულებასთან.

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## <u>საკონკურსო მომსახურეობის შესყიდვა</u>

ქ. ზესტაფონი ................, 2012 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ---------------------------------------------- სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

### 1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მომსახურეობის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

### 2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1. ------------------------------------------------------------------------------------------.

### 3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ------------------------ ( ---------------------------------) ლარი.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

*5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

*6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის ---------------------------

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 8 თებერვლის №19 ბრძანებით შექმნილი კომისია

*8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების- აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

*9 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

9.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული მომსახურეობის მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში..

10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

ა. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ბ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0, 07%.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

*12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის ----------------- 2012 წლის --------------------------.

*13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*14 ფორს-მაჟორი*

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *16 სხვა პირობები*

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, , რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

**მომწოდებელი**